



დავით ტვილდიანის სახელობის
სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი

პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო კატალოგი

თბილისი

2018 - 2019

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი დაფუძნებულია სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ მხარდაჭერითა და ხელშეწყობით, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ. კოლეჯი მიზნად ისახავს საქართველოში მაღალკვალიფიციური კადრის მომზადებას.

დაინტერესებულ პირებს შიდა გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში საშუალება ეძლევათ მოიპოვონ კოლეჯის სტუდენტის სტატუსი და სურვილის შემთხვევაში მიიღონ სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება. სტუდენტებს აფინანსებს სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“.

პროფესიულ სტუდენტებს სწავლის მსვლელობისას (დამწყები ექთნის პოზიციაზე) და კვალიფიკაციის მოპოვების შემდეგ ეძლევათ შესაძლებლობა, პარტნიორის მიერ დადგენილი რანჟირების წესის შესაბამისად, დასაქმდნენ სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ქსელში შემავალ კლინიკებში, ექთნის პოზიციაზე.

დაფინანსება:

დაფინანსების ტიპი	სემესტრის ღირებულება	„ევექსის“ თანამონაწილეობა	შემდეგ სემესტრში გადასასვლელი ქულები
გრანტი	750.00 აშშდოლარი	100%	90 ქულა და ზევით
სტუდენტური სესხი	750.00 აშშდოლარი	100%	85-დან-90-მდე
სტუდენტური სესხი	750.00 აშშდოლარი	75%	80-დან-85-მდე
სტუდენტური სესხი	750.00 აშშდოლარი	50%	75-დან-80-მდე

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი 2018 -2019 სასწავლო წლიდან თანამშრომლობს გერმანიის ფედერაციის, ქ. პირმაზენსის მუნიციპალური ჰოსპიტალთან.

დაინტერესებულ პირებს შიდა გამოცდის და ჰოსპიტალის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე საშუალება ეძლევათ მოიპოვონ კოლეჯის სტუდენტის სტატუსი და მიიღონ დაფინანსება გერმანელი პარტნიორისაგან. პროფესიულ სტუდენტებს კვალიფიკაციის მინიჭებისა და გერმანული ენის ცოდნის დადასტურების (B2) შემთხვევაში შეუძლიათ დაიწყონ მუშაობა ჰოსპიტალში ექთნის დამხმარის პოზიციაზე, გერმანიის ფედერაციის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად კვალიფიკაციის აღიარებამდე, ხოლო კვალიფიკაციისა და დიპლომის აღიარების შემდეგ, ჰოსპიტალის მიერ ინიცირებული და ორგანიზებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, გახდეს პრაქტიკოსი ექთანი გერმანიის ფედერაციაში.

- ✓ პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებულად დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- ✓ სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.
- ✓ პროგრამაზე დაშვება ხორციელდება პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად.
- ✓ პროგრამის მიზანია - მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო თეორიული და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

პრაქტიკოსი ექთნის დასაქმების სფეროებია:

- **ყველა სამედიცინო დაწესებულებაში:**
 - სტაციონარი
 - ამბულატორია
 - დიაგნოსტიკური ცენტრი
 - პირველადი ჯანდაცვის ობიექტები
 - რეაბილიტაციის ცენტრები
 - ესთეტიკური ცენტრები
 - გადაუდებელი დახმარების ცენტრები
 - სასწრაფო გადაუდებელი ცენტრები
- **სხვადასხვა ინსტიტუციაში:**
 - ბინაზე მომსახურება/პატრონაჟი
 - პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა, მოხუცთა სახლები)
 - პალიატიური მზრუნველობის ცენტრები
 - საგანმანათლებლო დაწესებულებები
 - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები
 - კვების ობიექტები
- **ჯანდაცვის ორგანიზაციაში**
 - ჯანდაცვის სამინისტრო

სტრუქტურა და მოდულები

- 1. საგანმანათლებლო პროგრამა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოიცავს 134 კრედიტს.
- 1.1 საგანმანათლებლო პროგრამა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის მოიცავს 163 კრედიტს.
- 2. სამუშაო კვირების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 87.
- 2.1 სამუშაო კვირების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 107.
- 3. 1 კრედიტი 25 საათია
- 4. 1 აკადემიური საათი (45 წთ) = 1 ასტრონომიულ საათს (60 წთ)
- 4. მეცადინეობები ტარდება ყოველდღიურად, გარდა კვირისა.

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები ქართულენოვანებისთვის - 11 კრედიტი
- ზოგადი მოდულები არაქართულენოვანებისთვის - 41 კრედიტი
- სავალდებულო პროფესიული მოდულები - 107 კრედიტი
- არჩევითი პროფესიული მოდულები - 16 კრედიტი
- არჩევითი არასავალდებულო კურსია¹ - 41 კრედიტი

ზოგადი სავალდებულო მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
2	უცხოური ენა	5
3	მეწარმეობა 3	3
4	ქართული ენა A2 ²	15
5	ქართული ენა B1	15
	ჯამი	41
სავალდებულო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	პაციენტის ფიზიკური შეფასება	8
2	გაცნობითი პრაქტიკა - პრაქტიკოსი ექთანი	2
3	ინფექციის კონტროლი საექთნო საქმეში	4
4	სამედიცინო ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში	2
5	ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	7
6	თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	6
7	კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	6
8	საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	4
9	ავადმყოფის მოვლა	6

¹ დაფინანსების შემთხვევაში სავალდებულო

² არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის

10	ფარმაცოლოგიის საფუძვლები საექთნო საქმეში	5
11	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
12	საექთნო პროცედურები და მანიპულაციები	6
13	ენდოკრინოლოგიური პაციენტის საექთნომართვა	2
14	გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	4
15	თავისა და კისრის პათოლოგიებით პაციენტის საექთნო მართვა	2
16	ონკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	3
17	ნევროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	4
18	რეაბილიტაცია საექთნო საქმეში	2
19	ინფექციური პაციენტის საექთნო მართვა	4

20	პრაქტიკული პროექტი პრაქტიკოსი ექთნისათვის- სხვადასხვა ასაკის ავადმყოფთა, უნარშეზღუდულთაან/დატერმინალურ პაციენტთა მოვლა/მართვა	6
21	დერმატო-ვენეროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	2
22	პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა	5
23	ფსიქიატრიული პაციენტის საექთნო მართვა	3
24	საწარმოო პრაქტიკა - პრაქტიკოსი ექთანი	12
	ჯამი	107

არჩევითი პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა	2
2	ექთან -ანესთეზისტის საქმე	2
3	კვება და დიეტა	2
4	მუშაობის სპეციფიკა სამედიცინო ლაბორატორიებსა და დიაგნოსტიკის ცენტრებში	2
5	პალიატიური პაციენტის საექთნო მოვლა	2
6	საოპერაციო ბლოკის ექთნის საქმე	2
7	სწავლების პრინციპები საექთნო საქმეში	2
8	ფიზიოთერაპია	2
	ჯამი	16

არჩევითი არასავალდებულო კურსაცია		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ჰისტოლოგია	2
2	ანატომია-ფიზიოლოგია	10
3	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	4
4	ბიოქიმია	4
5	მიკრობიოლოგია	4
6	გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	3
7	დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში	4
8	საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში	1
9	სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში	3
10	საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები	2
11	კომუნიკაცია საექთნო საქმეში	2
12	შინ მოვლა	2
	ჯამი	41

ზოგადი სავალდებულო მოდულები

- **ინფორმაციული წიგნიერება 2** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: კომპიუტერული არქიტექტურა, ოპერაციული სისტემა და ინტერნეტის ქსელში პერიფერიული მოწყობილობების ჩართვა, კომუნიკაცია ელ.ფოსტის მეშვეობით, პრეზენტაციის მომზადება, ტექსტური დოკუმენტის მომზადება, ტექსტური დოკუმენტის მომზადება, .მონაცემების დამუშავება ელ. ცხრილების მეშვეობით.
- **უცხოური ენა** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: უცხო ენაზე მიღებული მარტივი ინფორმაციის წაკითხვა - გაგება, მარტივი აუდიალური ინფორმაციის გაგება, მარტივ ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე ზეპირი კომუნიკაცია, მარტივი პირადი კორესპონდენციის გაგება და წარმოება, პროფესიასთან დაკავშირებული მარტივი ტექსტის წაკითხვა-გაგება და აუდიალური ინფორმაციის სწორად აღქმა.

მეწარმეობა 3 - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ბიზნესის დაგეგმვა/რეგისტრაცია, ორგანიზება, პროდუქციის/მომსახურების რეალიზაცია, ადამიანური რესურსების ორგანიზება და ფინანსური გეგმის შედგენა.

სავალდებულო პროფესიული მოდულები

- **პაციენტის ფიზიკური შეფასება** - მოდულით პროფესიული სტუდენტი ეუფლება დახვეწილ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს საექთნო საქმეში.
- **გაცნობითი პრაქტიკის** მოდული სტუდენტს აძლევს საშუალებას გაერკვეს და მიიღოს ცოდნა დამსაქმებლის და დასაქმებულის ურთიერთობის პრიციპების შესახებ შრომის კოდექსის საფუძველზე, შიდა სტანდარტის და სამუშაო აღწერილობების უკეთ გააზრების მიზნით.
- **ინფექციის კონტროლის საექთნო საქმეში** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: სტანდარტული უსაფრთხოების ზომების, იარაღებისა და აღჭურვილობების დეკონტამინაცია, დეზინფექცია-სტერილიზაციის, ნოზოკომიური ინფექციების პრევენციის, უსაფრთხო ინფექციის პრაქტიკის საექთნო საქმის წარმოებისას, საიზოლაციო შემზღვეველი ღონისძიებების გატარების განმარტება.
- **სამედიცინო ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ქართული და ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგიისა და დოკუმენტაციის მნიშვნელობის განმარტება.
- **ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ანატომიის, ფიზიოლოგიის, პათოლოგიის, მიკრობიოლოგიის, რადიოლოგიის, კარდიოვასკულარული, პულმონოლოგიური ნეფროლოგიური, გასტროენტეროლოგიური, რეპროდუქციული ონკოლოგიური და ენდოკრინოლოგიური დაავადებების ქირურგიული სპეციფიკის, ორგანოების, ქსოვილების ტრანსპლანტაციის მნიშვნელოვანი ასპექტებისა და ჯანსაღი ცხოვრების მართვის ასპექტების განმარტება.
- **თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: კარდიოვასკულარული, ინფექციური, პულმონოლოგიური, ნეფროლოგიური, გასტროენტეროლოგიური, ჰემატოლოგიური, ნევროლოგიურ/გრძნობათა ორგანოების, ონკოლოგიური, რევმატოლოგიური, ენდოკრინოლოგიური დაავადებების სპეციფიკის განმარტება.
-

- **კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მართვა** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: კრიტიკულად დაავადებული პაციენტების ჰემოდინამიკური მონიტორინგის განმარტება, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მართვის განმარტება, რომელთაც აქვთ კარდიო ვასკულარული, პულმონარული, ნევროლოგიური, გასტროინტესტირალური, შარდგამომყოფი დაავადებები, საფარის სისტემის პათოლოგია, პაციენტის რეანიმაციაში მოხვედრის და გაწერის დროს გასატარებელი საექთნო ქმედებების განმარტება, ინტრა და ინტერ ჰოსპიტალური გადაყვანები და დოკუმენტაცია.
- **საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა** - მისი საფუძვლების ცოდნა უშუალო კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის უნარიანობაზე, საექთნო საქმეში ექთნის მოვალეობას შეადგენს პაციენტის განათლება ამ მიმართულებით.
- **ავადმყოფის მოვლა** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: პაციენტის მოვლის ფუნდამენტური პრინციპების, ფიზიოლოგიური საბაზისო მოვლის ასპექტების, პაციენტის მოვლის ხარისხიანი და უსაფრთხო მეთოდებისა და ფსიქოლოგიური მოვლის ასპექტების განმარტება.
- **ფარმაკოლოგიური საფუძვლები საექთნო საქმეში** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ფარმაკოლოგიის ბაზისური პრინციპების, ადამიანის ორგანიზმზე მედიკამენტის მოქმედების, გულსისხლძარღვთა სისტემაზე მოქმედი მედიკამენტების ტკივილის, ანთებითი პროცესისა და ინფექციის დროს გამოსაყენებელი მედიკამენტების, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების, ფსიქიატრიულ პაციენტებში გამოსაყენებელი მედიკამენტების აღწერა.
- **პირველადი გადაუდებელი დახმარება** - მოდული მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტის მიერ დროულად იქნას აღმოჩენილი სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა საექთნო დიაგნოზის დასმა და მისი კომპეტენციის ფარგლებში ინტერვენცია. მოდული წარმართება სიმულაციის ოთახში, რეალურ სიტუაციასთან მიახლოებულ გარემოში.
- **საექთნო პროცედურები და მანიპულაციები** - მოდული მიზნად ისახავს საექთნო პროცედურების და მანიპულაციების ორ ეტაპად დაყოფას. პირველი ეტაპი წარმოდგენილია მანიპულაციებით, რომელსაც ექთანი ასრულებს დამოუკიდებლად. მეორე ეტაპი მოიცავს ექიმის ასისტირებას რთული ინვაზიური პროცედურების დროს. მოდული წარმართება რეალურ გარემოებასთან მიახლოებულ პირობებში, რომლის დროსაც სტუდენტს აქვს საშუალება შეისწავლოს, როგორც მანიპულაციის თანმიმდევრობა ასევე თითოეული სახარჯი მასალის სპეციფიკაცია დააგებულება.

- **ენდოკრინოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა**-ენდოკრინოლოგიური პაციენტების საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკის შესწავლა. ნოზოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა.
- **გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მოვლა**-გინეკოლოგიური პაციენტების საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკის შესწავლა. ნოზოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა.
- **თავისა და კისრის პათოლოგიებით პაციენტის საექთნო მართვა**- თავისა და კისრის პათოლოგიებით პაციენტის საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკის შესწავლა. ნოზოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა.
- **ონკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა**- ონკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკის შესწავლა. ნოზოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა.
- **ნევროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა**-ნევროლოგიური პაციენტის საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკის შესწავლა. ნოზოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა.
- **რეაბილიტაცია საექთნო საქმეში** - აღნიშნული მოდული შეისწავლის ავადობის შემდგომ პაციენტის რეაბილიტაციას და პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას, პროცესში მიმდინარეობს პაციენტზე დაკვირვება და ნოზოლოგიიდან გამომდინარე მიდგომის შერჩევა.
- **ინფექციური პაციენტის საექთნო მართვა** - ინფექციური პაციენტის საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკის შესწავლა. ნოზოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა. იზოლაციის პრინციპების ცოდნა და მასთან დაკავშირებული ნიუანსების შესწავლა.

- **პრაქტიკული პროექტი** - მოდული ითვალისწინებს პროფესიული საქმიანობის დაგეგმვას და მათ განვითარებას. პროფესიული სტუდენტი შეისწავლის პაციენტზე დაკვირვებას, მისი მდგომარეობის შეფასებას, დიაგნოზის დასმას, გამოსავლის იდენტიფიცირებას და სამოავლო სამოქმედო საფეხურების დაგეგმვას, იმპლემენტაციას, მდგომარეობის გადაფასებას.
- **დერმატო-ვენეროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა** - დერმატო-ვენეროლოგიური პაციენტების საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკაციის შესწავლა. ნოზოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა. **პედიატრიული პაციენტის მართვა** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ბავშვთა უფლებების საერთაშორისო აქტის, ახალშობილის მოვლის ძირითადი და აუცილებელი პრინციპების, საკითხთან მიმართებით სხვადასხვა დაავადების, ასაკობრივი თავისებურებების განმარტება.
- **ფსიქიატრიული პაციენტის საექთნო მართვა** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ფსიქიატრიული მიმართულების საქმიანობის პრინციპების, ფსიქიატრიული პაციენტის შეფასების, თერაპიული კომუნიკაციისა და მკურნალობის სხვადასხვა მეთოდების, შიზოფრენიის მართვა და ხასიათის დარღვევით მიმდინარე დაავადებების, ნევროზული და სტრესთან დაკავშირებული დაავადებების აღწერა, ადიქტოლოგიის აღწერა და სექსუალური და კვებითი დარღვევების მქონე დაავადებების განმარტება.
- **საწარმოო პრაქტიკა** - აღნიშნული მოდული შეისწავლის ყველა შემენილი საბაზისო და კლინიკური უნარჩვევების შეჯამებას და პრაქტიკაში დამოუკიდებლად გამოყენებას. სწავლება მიმდინარეობს როგორც სასწავლო ობიექტზე, ასევე სიმულაციის ლაბორატორიაში და კლინიკურ ბაზებზე.

არჩევითი პროფესიული მოდულები

- **გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა** - გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკის შესწავლა. ნოზოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა. ასაკთან მიმართებაში თავისებურების ცოდნა და მათი მისადაგება პაციენტის მდგომარეობასთან.

- **ექთან ანესთეზისტის საქმე** - აღნიშნული მოდული შეისწავლის ოპერაციების ტიპების, ნოზოლოგიების, პაციენტის ასაკისა და წონის გათვალისწინებით ანესთეზიის ტიპების, ეტაპების და მიდგომების არჩევას. ოპერაციის მსვლელობისას პაციენტის მდგომარეობაზე დაკვირვებას და მის დოკუმენტაციაში დაფიქსირებას.
- **კვება და დიეტა** წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელოვან ასპექტს, რაც მნიშვნელოვანია პაციენტის გამოჯანმრთელების და რეაბილიტაციისწინაპირობისთვის.

მუშაობის სპეციფიკა სამედიცინო ლაბორატორიაში და დიაგნოსტიკის ცენტრებში - მოდულის სწავლება მიზნად ისახავს პაციენტის ბიოლოგიური მასალის პრენალიზური ფაზის სრულფასოვნად შესწავლას: პაციენტის მომზადება, ანალიზისთვის მასალის აღების ტექნიკა, საანალიზო მასალის შენახვა და ტრანსპორტირების სწორი ხერხის გამოყენება. პოსტანალიზურ ფაზაზე მიღებული შედეგის ანალიზი დაინტერპრეტაცია კომპეტენციის ფარგლებში. დიაგნოსტიკური პროცედურებისთვის პაციენტის მომზადება, პროცესის მსვლელობისას დინამიკაში დაკვირვება და კომპეტენციის ფარგლებში ჩარევა. პაციენტთან კომუნიკაციის დამყარება, პროცესის მსვლელობის, დინამიკის, გამოსავლის, მოსალოდნელი დისკომფორტის და გართულებების განმარტება.

- **პალიატიული პაციენტის საექთნო მართვა**- პალიატიული პაციენტის საექთნო მართვის ძირითადი პრინციპების განხილვა და მათი სპეციფიკის შესწავლა. ნოზოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე პაციენტის პალატაში მოთავსება, მასზე დინამიკაში დაკვირვება, შესაძლო გართულებების ცოდნა. პაციენტზე დინამიკაში დაკვირვება და საექთნო დიაგნოზზე დაფუძნებით იმპლემენტაციის დაგეგმვა და მუდმივი გადაფასება. პაციენტის ფსიქო-ემოციური სტატუსის განსაზღვრა.

- **საოპერაციო ბლოკში ექთნის საქმე** - აღნიშნული მოდული მოიცავს საოპერაციო ბლოკის შეფასებას საჭირო აღჭურვილობის, აპარატურის, ინსტრუმენტების, საკერავი მასალის მომზადებას. ოპერაციის მსვლელობისას საჭირო იარაღის გამოყენების ტექნიკის შესწავლას, ასეპტიკა-ანტისეპტიკის წესების მკაცრ დაცვას, იარაღის დახარისხებას, დეზინფექციის და სტერილიზაციის ძირითადი პრინციპების შესწავლას.

- **სწავლების პრინციპები საექთნო საქმეში** - აღნიშნული მოდული სტუდენტს შეასწავლის პაციენტთან კომუნიკაციას, მზაობას სხვადასხვა სამედიცინო პროცედურისთვის, ექთნის კომპეტენციის ფარგლებში პროცედურის მსვლელობის გართულებების, გამოსავლის, მოლოდინის დეტალურ აღწერას.

- **ფიზიოთერაპიის** მოდულის სწავლება მიზნად ისახავს პაციენტის მომზადებას ფიზიოთერაპიული მანიპულაციისათვის, მსვლელობაში საექთნო დაკვირვებას, მგომარეობის დინამიკაში გაანალიზებას და აღრიცხვას.

არჩევითი (არასავალდებულო) კურსია

- ჰისტოლოგია** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ჰისტოლოგიის საფუძვლების, ძირითადი ჰისტოლოგიური ტექნიკის, უჯრედისა და მისი აგებულების, ეპითელიური, შემაერთებული, კუნთოვანი და ნერვული ქსოვილის შემადგენლობისა და სტრუქტურის განმარტება.**ანატომია-ფიზიოლოგია** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ანატომიისა და ფიზიოლოგიის ბაზისური პრინციპების, საყრდენ-მამოძრავებელი, ნერვული, გრძნობათა ორგანოების, ენდოკრინული, კარდიოვასკულარული, ჰემატოლოგიური, რესპირატორული, საჭმლის მომნელებელი, შარდ-გამომყოფი, ლიმფური, იმუნური და რეპროდუქციული სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციის განმარტება.
- პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: უჯრედის და ქსოვილის დაზიანებისას მიმდინარე პათოლოგიური პროცესის, სითხის მოცულობისა და ჰემოდინამიკის დარღვევების, აუტოიმუნური დაავადებების, ინფექციური და პარაზიტული დაავადებების, სეფსისის, კუჭნაწლავის სისტემის დაავადებების, სიმსუქნე და დიაბეტის, გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი, შარდ-გამომყოფი, ენდოკრინული და ნერვული სისტემის დაავადებების აღწერა.
- ბიოქიმია** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: მედიცინის ბიოქიმიური არსის, უჯრედის მემბრანის ფუნქციის, სატრანსპორტო სისტემების, მჟავა ტუტოვანი წონასწორობის, ნახშირწყლებისა და ლიპიდების აგებულებისა და მეტაბოლიზმის, ამინო მჟავებისა და ცილების აგებულებისა და მეტაბოლიზმის, ნუკლეინის მჟავებისა და ნუკლეოტიდების, ვიტამინებისა და მინერალების, წყლის და ელექტროლიტების რაობა და კლინიკური მნიშვნელობის, სისხლის ქიმიის, pH და სისხლის ბუფერები, იმუნოლოგიური ბიოქიმიის აღწერა.
- მიკრობიოლოგია** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: მიკრობიოლოგიის ძირითადი პრინციპების, მიკრობიოლოგიური და სეროლოგიური, დიაგნოსტიკის, იმუნური სისტემის პათოლოგიების, იმუნოპროფილაქტიკის და იმუნოთერაპიის საკითხების, ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ბაქტერიების, ვირუსული ინფექციების მექანიზმების, სოკოვანი ინფექციური პროცესების ფუნდამენტური საკითხების აღწერა.
- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: განმარტოს შემდეგი საკითხები - გადაუდებელი პაციენტის პრეჰოსპიტალურ დონეზე საექთნო მართვის ძირითადი პრინციპები; პრეჰოსპიტალურ და ჰოსპიტალურ დონეზე ტრამეების დროს პირველადი დახმარება; პირველადი დახმარების განმარტება გარდა ტრავმებისა პრეჰოსპიტალურ და ჰოსპიტალურ დონეზე; სავლე, ჰოსპიტალურ დონეზე, მასობრივი შემთხვევის დროს ტრიაჟის.
-

- **დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: რიცხვით სიმრავლეებში მათემატიკური ოპერაციების შესრულება, დოზირების ამოცანების ამოხსნის მათემატიკური მოდელების აგება, ხსნარების კონცენტრაციის განსაზღვრა, კონცენტრაციის ცვლილებებსა და დოზირების ამოცანების შესრულება.
- **საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: პროფესიის განვითარების ისტორიისა და თანამედროვე ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურების, სამედიცინო დაწესებულების მოწყობის, სტრუქტურისა და ჯანდაცვის სფეროს დაფინანსების მექანიზმების განმარტება.
- **სამართლებრივი ასპექტები საექთნო სამეში** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებების საერთაშორისო დაცვის ძირითადი დებულებების, საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და პაციენტის უფლებებისა და მოვალეობების განმარტება.
- **საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: საექთნო მენეჯმენტის, საექთნო განათლებისა და პროფესიული განვითარების ძირითადი პრინციპების განმარტება.
- **კომუნიკაცია საექთნო საქმეში** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ინტერპერსონალური კომუნიკაციის არსის განმარტება, ვერბალური, არავერბალური, წერილობითი კომუნიკაცია, პრეზენტაციის უნარების დემონსტრირება.
- **შინ მოვლა** - მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: შინმოვლის მახასიათებლების განსაზღვრა. შინმოვლის პაციენტის ინდივიდუალური მოვლის გეგმის შედგენა, შინმოვლის პაციენტის მოვლითი ღონისძიებების ჩატარება, მოვლისთვის ადეკვატური/უსაფრთხო გარემოს შექმნა, შინმოვლის პაციენტის, მისი ოჯახის წევრების/მეურვის კონსულტირება/ სწავლება.

სწავლებაში გამოიყენება როგორც ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული სარეკომენდაციო სახელმძღვანელოები, ასევე უცხოური ლიტერატურა და სახელმძღვანელოები. სასწავლო პროცესს წარმართავენ კვლიეციური პროფესიული მასწავლებლები, წამყვანი სპეციალისტები.

გამოიყენება კომპიუტერული სწავლების საშუალებები (კომპიუტერული კლასი, ინტერნეტი, ა. შ.), ასევე სასწავლებელში არის მაღალტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვილი სიმულაციური კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია.

სწავლების პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა ფორმა: ინტერაქტიური ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები კლინიკურ გარემოში სწავლება (bedside teaching), სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება, პრეზენტაციები და სხვა.

თეორიული სწავლება მიმდინარეობს სასწავლებლის ბაზაზე, ხოლო პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლა შემდეგ კლინიკურ ბაზებზე:

- შპს “უნიმედი კახეთი-ბავშვთა ახალიკლინიკა;
- სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“- ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი
- შპს „მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო
- შპს “უნიმედი კახეთი-თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი
- შპს „რეგიონული ჰოსპიტალი“

სწავლის შედეგები

- 1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
- 2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
- 3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
- 4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
- 5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნომართვა
- 6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
- 7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
- 8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
- 9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
- 10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
- 11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

- სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
- პროფესიული სტუდენტის პროგრესის შეფასება (ქულების დაწერა) ხორციელდება მოდულური პროგრამით გათვალისწინებულ შეფასებასთან ერთად, კოლეჯის მიერ დადგენილი წესით - 100 ქულიანი სისტემითაც (აღნიშნული შეეხება, როგორც დამტკიცებული ავტორიზებული პროგრამებით გათვალისწინებულ მოდულებს, ისე -პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის პარალელურად მიმდინარე დამატებით არჩევით (არასავალდებულო) კურსიას).

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა - გამოიყენება რამოდენიმე კრიტერიუმი, რომელთა ხვედრითი წონა და მნიშვნელობა, დასადასტურებელი შედეგის შინაარსიდან გამომდინარე არგუმენტირებული პოზიციის, შემთხვევაში შესაძლოა განისაზღვროს პედაგოგის მიერ. აღნიშნული გულისხმობს შესაძლებლობას სტუდენტის მიერ რომელიმე კრიტერიუმის ვერ დადასტურების შემთხვევაში, პედაგოგის გადაწყვეტილებით, მოდული/შედეგი ჩაითვალოს დადასტურებულად. კრიტერიუმების ხვედრითი წონის შესახებ შესაძლებელია სტუდენტი არ იყოს ინფორმირებული, რათა თავიდან იქნას აცილებული მხოლოდ მაღალი ხვედრითი წონის მქონე საკითხების დასწავლა.

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

- მოდულური პროგრამის გავლის დასადასტურებლად უნდა დადებითად შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული; მოდულის ფარგლებში დადებითად ფასდება მოდულის შესაბამისი ყველა სწავლის შედეგი და ენიჭება შესაბამისი კრედიტი. პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია, რომ სწავლის შედეგში დადასტურებულ იქნას, შესრულების კრიტერიუმებში გამოყენებულ ინსტრუმენტის (ერთზე მეტი შეფასების ინსტრუმენტის შემთხვევაში ინსტრუმენტების საშუალო არითმეტიკულით) არანაკლებ 75 %-ისა, გარდა პროგრამის ზოგადი მოდულებისა, რომლის დადასტურებისთვისაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 51%-ს.

- ვერ დადასტურება შეფასების მიღების შემთხვევაში განმეორებითი შეფასების მიღების შესაძლებლობა:
 - ვერ დადასტურება შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შედეგი გადააბაროს მოდულის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;
 - განმეორებით ვერ დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია შედეგის გადაბარება მომდევნო სემესტრის ან/და წინაპირობის მქონე მოდულის/შედეგის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე (დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დროს);
 - კვლავ ვერ დადასტურება შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ შედეგის/მოდულის დადასტურება წარმოადგენს მომდევნო მოდულის წინაპირობას, პროფესიული სტუდენტი ვერ შეძლებს იმ მოდულის/მოდულების გავლას, რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს ჩავარდნილი მოდული და იგი ვალდებულია განმეორებით გაიაროს მოდული და მიიღოს შესაბამისი შეფასება.
 - შედეგის გადაბარებისთვის დანიშნულ დროს პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შესაბამის საგამოცდო უწყისში ფიქსირდება შეფასება 0, რაც ნიშნავს შედეგის ვერ დადასტურებას და პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს მეორე გადაბარების უფლებით, მომდევნო სემესტრის ან/და წინაპირობის მქონე მოდულის/შედეგის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე (დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დროს);
 - პირველი ან/და მეორე გადაბარებისთვის დანიშნულ დროს პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობა (შეუტყობინებლობა, არასაპიტიო მიზეზი) იწვევს ვერ დადასტურება შედეგის დაფიქსირებას, რასაც შესაძლოა მოჰყვეს დაწესებულების “სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ გათვალისწინებული პროგრესის მიუღწევლობის გამო პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
 - გადაბარებაზე გამოუცხადებლობის დაფიქსირებისას დაწესებულების მიერ შესაძლოა დაშვებული იქნას გამოწვევის შემთხვევები თუ გამოუცხადებლობა დაკავშირებულია პროფესიული სტუდენტის გამოუვალ მდგომარეობასთან, დადასტურებულია მტკიცებულებით და შეტყობინება დაწესებულებისათვის გაკეთებულია გადაბარებისთვის დანიშნულ დრომდე ან/და გადაბარების მსვლელობისას. ამასთან გადაბარების დასრულების შემდეგ მსგავსი გარემოების დაფიქსირება არ განიხილება გამოწვევის შემთხვევებად.
 - დაწესებულება ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს გადაბარებისთვის დანიშნული თარიღის შესახებ აცნობოს არაუგვიანეს გამოცდამდე ერთი კვირით ადრე.
 - პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მიმართოს დაწესებულებას დასაბუთებული წერილობითი თხოვნით (ცხრილით გათვალისწინებული შესაძლებლობის ფარგლებში) დანიშნული თარიღის სხვა დროისთვის გადატანის შესახებ, დანიშნულ დრომდე არაუგვიანეს 05 დღისა.
- პროფესიული სტუდენტი, რომელიც ვერ დადასტურებს სემესტრში შემავალ რომელიმე მოდულს, მაგრამ იგი არ წარმოადგენს შემდეგი სემესტრის პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წინაპირობას, მას ეძლევა შესაძლებლობა მომდევნო სემესტრის მიმდინარეობისას განმეორებით გაიაროს და დადასტუროს ჩავარდნილი მოდული.
 - მოდულის/შედეგის განმეორებითი გავლის შემთხვევაში სტუდენტის მიერ - ვერ დადასტურება - შეფასების მიღება ნიშნავს, რომ იგი ვერ აღწევს პროგრესს, რაც ხდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.¹

¹ აღნიშნული არ ვრცელდება სსმ და შშმ სტუდენტებზე

- მოდულის/შედეგის თეორიულ ნაწილში - ვერ დადასტურება შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობით გადააბაროს მოდული/შედეგი, ხოლო პრაქტიკულ ნაწილში იგივე შეფასების დაფიქსირება გულისხმობს მოდულის/შედეგის პედაგოგის დახმარებით განმეორებით გავლის ვალდებულებას, რომლისთვისაც დაწესებულების მიერ განისაზღვრება საფასური და იგი არ უნდა აღემატებოდეს პედაგოგის საათობრივ ანაზღაურებას.
- პროფესიული სტუდენტის შეფასება ტარდება სხვადასხვა გარემოში: აუდიტორიაში, სამუშაო ადგილზე, სამუშაო ადგილის მსგავს სიმულაციურ ლაბორატორიაში.
- პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ძირითადი მიმართულებები: პროცესზე დაკვირვება; პროდუქტი /შედეგი; გამოკითხვა (აკადემიური - კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური - უნარები).
- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით წამოაყენოს პრეტენზია, მისი გაცნობიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა და მოითხოვოს:
 - წერილობითი ნამუშევრის შემთხვევაში მისი განხილვა და შეფასების შეცვლა,
 - პრაქტიკული დავალების/შემთხვევის შესწავლის/სიმულაციის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების შემოწმება,
 - შეფასების ინსტრუმენტად ზეპირი შეკითხვების გამოყენებით მიღებული შეფასების მიმართ პრეტენზია გამოიწვევს სასწავლო დეპარტამენტის მიერ დადგენილი შინაარსითა და მოცულობით შედეგის შეფასების პროცედურის განმეორებას.
- სტუდენტის პრეტენზიის საფუძველზე შეფასების შედეგები, შეფასების ინსტრუმენტი და კრიტერიუმების გარჩევა მოხდება სასწავლო დეპარტამენტის, სტუდენტის და პედაგოგის მონაწილეობით, შესაძლებელია ყველა მონაწილის თანხმობით მოწვეული იქნას ნეიტრალური პირ(ებ)ი, როგორც სტუდენტის ასევე დაწესებულების მხრიდან.
- შეფასებასთან დაკავშირებული პრეტენზიის განხილვის დროს ყველა დაუსაბუთებელი და მტკიცებულებით დაუდასტურებელი გარემოება უნდა გადაწყდეს სტუდენტის სასარგებლოდ.
- სტუდენტის პრეტენზიასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი - პრეტენზიის დაკმაყოფილების ან/და დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
- პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო პროცესს.
 - ა) კოლეჯში მოქმედებს შეფასების წახალისების სისტემა, რომელიც განისაზღვრება ლექციაზე დასწრების 0.1 ქულის მინიჭებით და მათი ჯამი ემატება მოდულის შედეგის ქულას.
 - ბ) იმ შემთხვევაში თუ პროფესიული სტუდენტის გაცდენილი ლექციების რაოდენობა, ერთი შედეგის ფარგლებში, გადააჭარბებს 30%-ს, პროფესიული სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე და მოდულის დასრულების შემდეგ შესაძლებლობა აქვს გადააბაროს დაუდასტურებელი შედეგი, რა დროსაც მოქმედებს მოდულის/შედეგის გადაბარების წესები.

არასავალდებულო არჩევითი კურსის შეფასების პრინციპები

არასავალდებულო არჩევითი კურსის შეფასებისთვის, გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის შეფასების პრინციპები დამეთოდები. არასავალდებულო არჩევით კურსაზე დასწრების შესახებ ნების გამოხატვა გულისხმობს მასზე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა იმ რეგულაციის გავრცელებას და სტუდენტისთვის შესასრულებლად სავალდებულობას, რაც დადგენილია სასწავლო პროცესის მარეგულაციის წესით, მათ შორის დასწრების, გადაბარების, შედეგების გასაჩივრებისა, მინიმალური კოეფიციენტის 75% -ანი ბარიერის(გარდა მოდული - კომუნიკაცია საექთნო საქმეში, სადაც მინიმალური კოეფიციენტი განისაზღვრება 51 % -ით) დაკმაყოფილების შესახებ და ა.შ.

არასავალდებულო არჩევითი კურსის შეფასება არ არის დაკავშირებული ზემოთ მითითებულ პროგრამულ მოდულებსა და მის შეფასებასთან, არ ახდენს გავლენას სტუდენტის სტატუსზე ან/და კვალიფიკაციის მინიჭებაზე.

არასავალდებულო არჩევითი კურსის შედეგები ადგენს პროფესიული სტუდენტის მონაცემების პარტნიორი ორგანიზაციის დაფინანსების კრიტერიუმებთან შესაბამისობას ან/და დასაქმებისას ასეთი კურსდამთავრებულის გარკვეულ უპირატესობას.

შეფასების საბოლოო შედეგების აღრიცხვა

პედაგოგის მიერ შეგროვებულ საკმარის, რელევანტურ/შესაბამის და უტყუარ მტკიცებულებებს, რომლებიც ასაბუთებენ, რომ შესაფასებელი პირი აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, პედაგოგს უკვე შეუძლია მოამზადოს საბოლოო გადაწყვეტილება და შექმნას დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ყველანაირი შიდა შეფასება დაექვემდებარება შიდა და გარე ვერიფიკაციას.

კვალიფიკაციის მინიჭება

სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი სწავლის შედეგების გათვალისწინებით და შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საქთნო კოლეჯის“ დირექტორის ბრძანებით შექმნილი ერთჯერადი კომისია პირს ანიჭებს მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ კვალიფიკაციას.

დიპლომის/სერტიფიკატის/ცნობის გაცემა

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი, პროფესიული სავალდებულო და არჩევითი პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტი, რის საფუძველზეც კოლეჯი გასცემს მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს.

პროფესიული სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში კოლეჯი გასცემს დიპლომის დანართს სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების შეფასებისა და მინიჭებული კრედიტების შესახებ.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში პირს შეიძლება მიეცეს მოდულების გავლისა და შესაბამისი შეფასებების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტი.

არჩევითი არასავალდებულო კურსის გავლა არ არის დაკავშირებული კვალიფიკაციის მინიჭებასთან, თუმცა მათი სრულად დადასტურებისა და კრედიტების მოპოვების შემთხვევაში კოლეჯის მიერ გაიცემა სერტიფიკატი შესაბამისი კურსის გავლის, მიღებული შეფასებისა და მინიჭებული კრედიტების ამსახველი ინფორმაციით.

არჩევითი არასავალდებულო კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემა არ უთანაბრდება პროფესიულ დიპლომს და იგი გაიცემა მხოლოდ დიპლომთან ერთად ან/და მის გარეშე პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების გარეშე.

არჩევითი არასავალდებულო კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი⁴ სახისაა - წარჩინებული, ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი.

არჩევითი არასავალდებულო კურსის არასრულად გავლის ან/და სწავლის შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი ცნობა გავლილი მოდულებისა და საათების შესახებ (კრედიტის მინიჭების გარეშე).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება-საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

შეფასების ინსტრუმენტები კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლისას⁴

შეფასების ინსტრუმენტები მიემართება შეფასების ერთ, ორ ან სამივე სახეობას

- სტუდენტის შესრულებაზე დაკვირვება;
- სტუდენტის პროდუქტების შეფასება;
- კოგნიტური/შემეცნებითი უნარების შეფასება.

⁴სტუდენტთა შეფასების გზამკვლევი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

1. შემთხვევის შესწავლა (Case Study)

შემთხვევის შესწავლა შედგება ამა თუ იმ მოვლენის აღწერისგან, რომელიც რეალურ სიტუაციას ასახავს. ამას მოჰყვება რიგი ინსტრუქციები, რომლებიც ავალბენ სტუდენტს, როგორც მოვლენებზე დამკვირვებელ ცალკეულ პირს, გაანალიზოს შემთხვევა ან სიტუაცია, დასკვნების გამოტანით და გადაწყვეტილებების მიღებით ან მოქმედების მიმართულებების მითითებით. ასეთი დავალების შესრულება დასაშვებია, როგორც ცალკეული პროფესიული სტუდენტის, ისე ერთად მომუშავე პატარა ჯგუფების მიერ.

აქ მნიშვნელოვანი თავად ახსნა-განმარტების, გადაწყვეტილებების მიღების და პროფესიული სტუდენტის მიერ დასკვნის გამოტანის პროცესი. შემთხვევის შესწავლის შედეგის შესაფასებლად კოლეჯის მიერ შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ. „ჩეკლისტი“, რომლითაც გაიზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

შემთხვევის შესწავლა უზრუნველყოფს პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარების შეფასების განვითარების საშუალებებს. ისინი განსაკუთრებით ხელსაყრელია, როდესაც რეალური სიტუაციის დადგმა რთულია, ხოლო სწავლისთვის განკუთვნილი დრო - შეზღუდული.

2. კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით

ასეთი ტიპის დავალება ორი ნაწილისგან შედგება. პირობის, რომელიც ჩამოყალიბებულია შეკითხვის ან არასრული მტკიცებულების სახით (მირითადი მოცემულობა) და პასუხების ვარიანტებისგან. სავარაუდო პასუხი მირითადად 4 ან 5-ია, რომელთაგან სტუდენტმა სწორი ვარიანტი უნდა აირჩიოს.

საბოლოოდ ხდება პასუხების ტესტის გასაღებთან შედარება და სწორი პასუხების მიხედვით ქულების დათვლა. **2.1**

მრავალჯერადი პასუხის შემცველი კითხვები

მრავალჯერადი პასუხის შემცველი შეკითხვები ვარიაციან კითხვების მრავალი არჩევითი პასუხით, რომლის დროსაც მოცემული შესაძლო პასუხებისგან რამდენიმეა მართებული. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი მათგანი ან რამდენიმეს კომბინაცია, პროფესიული სტუდენტი ასევე უნდა იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რამდენი ვარიანტის არჩევა შეუძლია. იმის გამო, რომ ასეთ კითხვებზე მრავალნაირად შეიძლება პასუხის გაცემა, ისინი უფრო კომპლექსურია, ვიდრე კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით.

3. ზეპირი შეკითხვები

ზეპირი შეკითხვები, ჩვეულებრივ, შეზღუდული პასუხების შემცველი კითხვების მსგავსია. პასუხის ფორმა და შინაარსი შეიძლება იყოს შეზღუდული, მაგრამ შეკითხვები ნამდვილად აძლევენ სტუდენტს თვითგამოხატვის საშუალებას. პედაგოგის პროფესიონალიზმი განაპირობებს პროფესიული სტუდენტის სწორად შეფასებას, რადგან არ არსებობს ერთი სწორი პასუხი.

4. ზეპირი გამოცდები

ზეპირი გამოცდა ტარდება პროფესიული სტუდენტის ვერბალური კომუნიკაციის უნარის შესამოწმებლად. ზეპირმა ტესტებმა შესაძლოა მიიღონ პროფესიული სტუდენტის მიერ შერჩეულ თემაზე მომზადებული პრეზენტაციის ფორმა და ამას შემფასებელთან დისკუსია მოჰყვეს. სტუდენტს მოეთხოვება ინფორმაციისა და შეხედულებების გადმოცემა. ისინი შეიძლება აღწერდნენ პირად გამოცდილებებს. დასაშვებია სტუდენტების როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური გამოკითხვა ამინსტრუმენტით.

ზეპირი გამოცდების შედეგების შესაფასებლად შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

5. პროექტი

კონკრეტული პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო/კვლევა, რომელიც სრულდება გარკვეულ დროში. სტუდენტები მუშაობენ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. სამუშაოს მნიშვნელოვან ნაწილს ასრულებენ დამოუკიდებლად, თუმცა შემფასებელი გარკვეულწილად ხელმძღვანელობს სამუშაოებს. ხშირ შემთხვევაში მიუთითებს თემას ან მოკლე აღწერილობას. ძიებისა და კვლევის დროს სტუდენტებს მიმართულებას აძლევს, სთავაზობს საინფორმაციო წყაროებს. პროექტის შესასრულებლად სტუდენტს უფრო მეტი დრო აქვს გამოყოფილი. პროექტის შესაფასებლად შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

6. პრაქტიკული სავარჯიშო

პრაქტიკული სავარჯიშო შედგება ნებისმიერი აქტივობისგან/საქმიანობისგან, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს პირდაპირ გამოავლინოს საკუთარი ტექნიკური ან/და ქცევითი უნარები. შეფასება შეიძლება დამოკიდებული იყოს საბოლოო რეზულტატზე, მტკიცებულებაზე (პროდუქტი) ან აქტივობის შესრულების პროცესზე. დასაშვებია ორივე ვარიანტის კომბინაცია.

ზოგიერთ მოდულში, პრაქტიკული უნარის დემონსტრირებამ შესაძლოა, აჩვენოს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ კომპეტენციის დემონსტრირებისთვის საჭირო ცოდნის გამოყენება. სხვა მოდულში, ცოდნა შეიძლება აშკარად არ გამოვლინდეს შესრულების შედეგად. ასეთ შემთხვევებში, შესაძლოა, საჭირო გახდეს დამატებითი შეფასება, როგორცაა გამოკითხვა (შეკითხვების დასმა), რათა ხელი შევუწყოთ უნარზე დაკვირვების პროცესს. პრაქტიკული სავარჯიშოს შედეგის შესაფასებლად შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ. „ჩეკლისტი“, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

7. როლური თამაში

როლური თამაშებისას, სტუდენტებისთვის წარმოდგენილია სიტუაციები, ხშირად პრობლემა ან ინციდენტი, რომელზეც რეაგირება უნდა მოახდინონ კონკრეტული როლის მორგებით - განსხვავებით სიტუაციის ანალიზისგან, რომლის დროსაც პროფესიული სტუდენტი პასიური დამკვირვებელია. შესაძლოა წინასწარი რეპეტიცია არ იყოს გავლილი ან ინდივიდს უბრალოდ მოკლედ გააცნონ სათამაშო როლი. ასეთი შეფასებები უფრო ღია და ადამიანზე ორიენტირებულია, ვიდრე სიმულაციები.

როლური თამაშის შედეგის შესაფასებლად შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ. „ჩეკლისტი“, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

8. სიმულაცია

სიმულაცია არის პრაქტიკული სავარჯიშო. ის მაქსიმალურად ჰგავს რეალურ სამუშაო ადგილზე განსახორციელებელ სამუშაოს. სიმულაციას აქვს მისი შესაბამისი მიზანი. მისი მიზანია პროდუქტის შექმნა და შექმნის პროცესის ორგანიზება. სიმულაციაში პროფესიული სტუდენტი აქტიურადაა ჩართული. პროფესიული სტუდენტის შედეგი სიმულაციაში მის აქტიურ მონაწილეობაზეა დამოკიდებული. იმისთვის რომ სიმულაციის სავარჯიშო შედეგიანი იყოს, სიმულაციის გარემო პირობები და შესასრულებელი სამუშაო მაქსიმალურად უნდა ჰგავდეს რეალურ სიტუაციას. სიმულაცია განსხვავდება როლური თამაშისგან. როლური თამაშისგან განსხვავებით სიმულაცია ერთ კონკრეტულ მოქმედებასთანაა დაკავშირებული. სიმულაციის მიზანია შეამოწმოს ქცევითი, ანალიტიკური და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები რეალურ გარემოში. სიმულაციის შედეგის შესაფასებლად შექმნილია კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ. „ჩეკლისტი“, რომლითაც იზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია.

9. პრეზენტაცია

პრეზენტაცია ეწოდება შესრულებული პრაქტიკული ან თეორიული პროექტის შედეგების წარდგენის პროცესს. პრეზენტაციაშირად საჯარო გამოსვლის ფორმატით ტარდება და მას შესაძლოა უშუალოდ შემფასებლების გარდა ფართო აუდიტორიაც დაესწროს. პრეზენტაციის შედეგის შესაფასებლად საჭიროა შეიქმნას კრიტერიუმების ნუსხა, ე.წ. „ჩეკლისტი“, რომლითაც გაიზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და პროფესიული სტუდენტის კომპეტენცია. რამდენადაც პრეზენტაცია შესრულებული პროექტის წარდგენას გულისხმობს, მისი გამოყენება პროფესიული სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასებისათვის შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როცა სტუდენტს საკმარისი გამოცდილება ექნება, დაგროვილი პროექტის განხორციელებისათვის. შესაბამისად პრაქტიკული პროექტის პრეზენტაცია ხორციელდება სემესტრის ან საგანმანათლებლო პროგრამის ბოლოს, მაშინ როდესაც თეორიული პროექტის პრეზენტაცია თეორიული/შესავალი კურსების დასრულების შემდეგაც შეფასების ადეკვატურ ფორმას წარმოადგენს.

მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების უცხოელ პარტნიორ კლინიკაში მივლინება

კოლეჯის მიერ დადგენილი შეფასების სისტემის გათვალისწინებით, ყოველწლიურად (2018 წლიდან) განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა შემადგენლობა (არაუმეტეს 5 სტუდენტისა), რომელიც გაემგზავრება ქ. კლაიპედას (ლიტვა) საუნივერსიტეტო კლინიკაში, ერთ თვის ვადით „ობსერვაციული“ ვიზიტით. პროფესიული სტუდენტები ვიზიტის დასრულებისას მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

მინიჭებული მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის კვალიფიკაცია სტუდენტს საშუალებას აძლევს სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმდეს ქვეყანაში არსებულ ნებისმიერ ლიცენზირებულ დაწესებულებაში. ამასთან, კოლეჯი პარტნიორი ორგანიზაციის დახმარებით უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ქსელში შემავალ ქვემოთ მოცემულ სამედიცინო დაწესებულებებში.

1	შპს "უნიმედი სამცხე" - ახალციხის სამედიცინო ცენტრი	ახალციხე, რუსთაველის ქ. №105ა
2	შპს "უნიმედი სამცხე" - ადიგენის სამედიცინო ცენტრი	დაბა ადიგენი, ბალახაშვილის ქ. №11. დაბა ადიგენი, სახანძროსთან
3	შპს "უნიმედი სამცხე" - ახალქალაქის სამედიცინო ცენტრი	ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის ქ. 31
4	შპს "უნიმედი სამცხე" - ასპინძის სამედიცინო ცენტრი	ასპინძა, შალვა ახალციხელის ქუჩა №1ა
5	შპს „უნიმედი კახეთი“ - ახმეტის სამედიცინო ცენტრი	ქ. ახმეტა, რუსთაველის ქუჩა, №78ა
6	შპს "უნიმედი აჭარა" - ბათუმის რეფერალური საავადმყოფო	ბათუმი, ბაგრატიონის ქ. №125

7	შპს „უნიმედი კახეთი“ - მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი	ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, №64
8	სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ - წალენჯიხის ჰოსპიტალი	წალენჯიხა, ჭურღულიას ქ. № 6
9	სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ - ჩხოროწყუს ჰოსპიტალი	ჩხოროწყუ, აღმაშენებლის ქ. N19
10	შპს "უნიმედი აჭარა" - ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ჩაქვი, თ. მეფის ქ. №40, მიმდებარედ
11	სს "სამედიცინო კორპორაცია ევექსი" - ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალი	ქუთაისი, ოცხელის ქ. №2, ნაკვეთი №2
12	სს "ფოთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო"	ფოთი, გურიის ქ. №171
13	შპს "უნიმედი აჭარა" - ქობულეთის რეგიონული საავადმყოფო	ქობულეთი, აბაშიძის ქ. №18, მიმდებარედ
14	შპს "უნიმედი აჭარა" - ქედის სამედიცინო ცენტრი	დაბა ქედა, რუსთაველის ქ. №14
15	შპს "ალიანს მედი"	ქარელი, ზ. ფანასკერტელის №30
16	შპს "უნიმედი აჭარა" - შუახევის სამედიცინო ცენტრი	დაბა შუახევი, რუსთაველის ქ. №32
17	შპს "უნიმედი კახეთი" - კარაპს მედლაინი	თბილისი, ლუბლიანას ქ. №48
18	სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ - თერჯოლის ჰოსპიტალი;	თერჯოლა, რუსთაველის ქ. №69
19	სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ - ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი	თბილისი, ლუბლიანას ქ. №21
20	სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ - ხობის ჰოსპიტალი	ხობი, ჭყონდიდელის ქ. №2
21	შპს "უნიმედი აჭარა" - ხულოს სამედიცინო ცენტრი	დაბა ხულო, აღმაშენებლის ქ. №1. აღმაშენებლის ქ. №3
22	სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ - ხონის ჰოსპიტალი;	ხონი, სოლომონ მეორის ქუჩა, №21
23	შპს "ახალი კლინიკა"	ხაშური, რუსთაველის ქ. №40
24	შპს „უნიმედი კახეთი“ - ყვარლის სამედიცინო ცენტრი	ყვარელი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა, №3ა

25	სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ - ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი	ზუგდიდი, გამსახურდიას ქ. №206
26	შპს "აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი"	ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №83ა
27	სს „წმინდა ნიკოლოზის სახელობის ქირურგიული და ონკოლოგიური ცენტრი“	ქუთაისი, პ. იაშვილის ქ. №9/11; ნაზარიშვილის ქ. №30
28	შპს „უნიმედი კახეთი“ - თელავის რეფერალური საავადმყოფო	თელავი, სეხნიაშვილის ქ. №1
29	შპს "წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო"	ქ. წყალტუბო, ერისთავის ქ. №16
30	სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ - ტყიბულის ჰოსპიტალი	ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. №10, მიმდებარედ
31	შპს „უნიმედი სამცხე“ - ნინოწმინდის სამედიცინო ცენტრი	ქ. ნინოწმინდა, თავისუფლების ქ. №48
32	შპს “უნიმედი კახეთი” – ბავშვთა ახალი კლინიკა	თბილისი, ლუბლიანას ქუჩა №21 ა
33	შპს "ივანე ბოკერიას სახელობის თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი"	თბილისი, ქინძმარაულის I შესახვევი, №1-ში
34	შპს „მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო“	ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა №2/6
35	სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ - აბაშის ჰოსპიტალი	აბაშის რაიონი, თავისუფლების ქ. №143
36	შპს "უნიმედი აჭარა" - ონკოლოგიის ცენტრი	ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №85
37	სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ - მარტვილის ჰოსპიტალი	მარტვილის რაიონი, მშვიდობის ქ. №111; 113
38	შპს "რეგიონული ჰოსპიტალი"	თბილისი, ქავთარაძის ქ. №23

პოლიკლინიკები:

1	მარნეულის პოლიკლინიკა	შ.რუსთაველის ქ. #53,
2	ბათუმის პოლიკლინიკა	ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის #20
3	დიდი დიღმის პოლიკლინიკა	თბილისი, პეტრიწის 16
4	ზუგდიდის პოლიკლინიკა	ზუგდიდი, მ.კოსტავას 1
5	დიდუბის პოლიკლინიკა	თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 141ა
6	საბურთალოს პოლიკლინიკა	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 40
7	ვარკეთილის პოლიკლინიკა	თბილისი, ჯავახეთის ქ. 30
8	გლდანის პოლიკლინიკა	თბილისი, გლდანის I მკ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ
9	მთაწმინდის პოლიკლინიკა	თბილისი, ვეკუას ქ. 3
10	ისნის პოლიკლინიკა	თბილისი, ქეთევან წამებულის 69
11	რეგიონული ჰოსპიტალი-საბურთალოს პოლიკლინიკა	თავგებლობის N1

12	ქუთაისის პოლიკლინიკა	ქუთაისი, პ.იაშვილის ქ.9/11
13	ჩაქვის სამედიცინო ცენტრი	ჩაქვი, თ.მეფის ქ.40, მიმდებარედ
14	თელავის პოლიკლინიკა	თელავი, გია არსენიშვილის ქ. №15 (ჯორჯიაშვილის ქ.15)
15	ფოთის პოლიკლინიკა	ფოთი, გამსახურდიას ქ. N6